



საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

5 ოქტომბერი 2011 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 164

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ვესტი“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია ვესტი“-სა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტს შორის, 2011 წლის 7 აპრილის №62 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მოქმედება შეწყდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველზე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი